- ოჯახი თანახმაა მშვიდობის კორპუსმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართოს ოჯახის უსაფრთხოების შემოწმების მიზნით (პროცედურა ხორციელდება ოჯახის წერილობით თანხმობის საფუძველზე).
- ოჯახის ერთი სრულწლოვანი წევრი მაინც გამოთქვამს მზაობას, მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის კორპუსის მიერ ორგანიზებულ საორიენტაციო შეხვედრებში, ტრენინგებსა და ღონისძიებებში.
- სასურველი კრიტერიუმი თემში საცხოვრებელი პირობებისათვის
- სასურველია, ოჯახის ერთ წევრს მაინც შეეძლოს ინგლისურად საუბარი საბაზისო დონეზე.

ანაზღაურება

მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს უხდის ყოველთვიურად 490 ლარს, რის ფარგლებშიც მასპინძელმა ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მოხალისე საცხოვრებელი პირობებითა და ყოველდღიური კვებით.

ზამთრის პერიოდში, ოქტომბრიდან აპრილამდე, ოჯახები ყოველთვიურად დამატებით 95 ლარს მიიღებენ გათბობის ხარჯების დასაფარად. მასპინძელი ოჯახი უნდა დარწმუნდეს, რომ მოხალისის ოთახი საკმარისად თბება აღნიშნული თვეების განმავლობაში.



PEACE CORPS HOMESTAY PROGRAM RECOMMENDATIONS

- Once you decide to apply for Peace Corps Volunteer start to think of host family recruitment right away. Make an announcement to all the staff members of your organization, regardless of their position as well as to the members of community.
- Some of the above-mentioned criteria may not currently or during the survey be in place, but family must agree that in case Peace Corps approves their home for PCV, they will make respective changes before Volunteer's arrival. (For example, lock on the bedroom door is fixed, desk in the bedroom is provided, etc.).
- Please remember, that it is not allowed for the Volunteers to live with their supervisors and potential counterparts.
- Peace Corps encourages you to organize community meetings to spread the information out to community members. Remember, any interested family who satisfies selection criteria can host the Volunteer regardless their affiliation to organization, except for the above-mentioned limitations.
- Distribute the host family brochures to interested potential host families.
- Make sure families submitted to Peace Corps are already aware of the basic conditions of the Homestay program and are truly willing to have PC Volunteer from 3 to 24 months in their homes.
- Make sure submitted families understand that the payment of 490 Gel is not a rent, but an amount to help cover the costs of food, electricity, gas, water, etc.
- Make sure that there is a safe living environment at the family for volunteer considering family members' lifestyle and background.

მშვიდობის კორპუსის მასპინძელი ოჯახების პროგრამის რეკომენდაციები

- მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ მშვიდობის კორპუსის მოხალისეზე განაცხადის შემოტანას მაშინვე დაიწყეთ მასპინძელი ოჯახების შერჩევაზე ფიქრი. ინფორმაცია მიაწოდეთ, როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს, ასევე თემის სხვადასხვა წევრს.
- დასაშვებია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ოჯახს არ ჰქონდეს უზრუნველყოფილი ისეთი კრიტერიუმები, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელია ოჯახის შერჩევის შემდეგაც. თუმცა ოჯახს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ თუკი მშვიდობის კორპუსი გადაწყვეტს მოხალისის განთავსებას აღნიშნულ ოჯახში, მათ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი მოხალისის ოჯახში ჩასვლამდე. (მაგალითად, მოხალისის საძინებლის კარზე საკეტის განახლება, საწერი მაგიდის განთავსება მოხალისის ოთახში და ა.შ.).
- გთხოვთ გახსოვდეთ, რომ მოხალისეს არ შეუძლია მისი ხელმძღვანელის ან მეწყვილის ოჯახში ცხოვრება.
- მშვიდობის კორპუსი გთხოვთ, რომ გამართოთ სათემო შეხვედრები ინფორმაციის გასავრცელებლად. გახსოვდეთ, ნებისმიერ დაინტერესებულ ოჯახს, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს, შეუძლია უმასპინძლოს მოხალისეს (გარდა ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისა).
- გაავრცელეთ მასპინძელი ოჯახის ბროშურები დაინტერესებულ პოტენციურ მასპინძელ ოჯახებს შორის.
- დარწმუნდით, რომ იმ მასპინძელ ოჯახებს, რომლებსაც მშვიდობის კორპუსს წარმოუდგენთ კარგად ესმით მასპინძელი ოჯახის პროგრამის მთავარი პირობები და ნამდვილად სურთ მოხალისის მასპინძლობა 3-დან 24 თვემდე თავიანთ ოჯახებში.
- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ ოჯახებს ესმით ის, რომ 490 ლარი ანაზღაურება არაა ბინის ქირა, არამედ ეს არის თანხა იმისათვის, რომ ოჯახმა დაფაროს კვების, ელექტროენერჯის, გაზის, წყლის და სხვა ხარჯები.
- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ მასპინძელ ოჯახებში არსებული საცხოვრებელი გარემო მისივე წევრების ცხოვრების წესიდან და წარსულიდან გამომდინარე იქნება მაქსიმალურად უსაფრთხო მოხალისისათვის.



HOW TO REQUEST A VOLUNTEER

Selection of communities in which Peace Corps Volunteers are placed is based on certain criteria mentioned above. Community and organization priorities must be consistent with IOD project objectives and activities. The organization and community should be open and supportive of working with a Volunteer and be willing to support the Volunteer's initiatives.

More than one organization can apply to host one Volunteer in the same community. Each organization should fill out the application form separately and along the form submit a cover letter explaining how they plan to host the Volunteer and divide up Volunteer's time. Supervisor for the Volunteer should also be identified in the letter.

If your organization or community group is interested in requesting a Peace Corps IOD Volunteer for the years of 2024 – 2026:

- Be sure to read the information in the attached packet carefully.
- Fill out completely the Request for a Peace Corps Volunteer form.
- State clearly on the Request for a Peace Corps Volunteer Form how the organization or community group will benefit from participation in Peace Corps' Individual and Organizational Development Project.
- The organization must submit three applications for potential host families who meet the criteria described above.
- E-mail the form to GE-IOD@peacecorps.gov.

The deadline for the submission of request forms is **16 October 2023**.

Next Steps

- Peace Corps will review all Peace Corps Volunteer Request forms.
- Peace Corps program staff will travel to the regions to interview potential organizations for Volunteers.
- Peace Corps staff will survey host families suggested by the organizations.
- In April-May 2024 Peace Corps staff will conduct workshops for semi-finalist organizations.
- Volunteers are expected to arrive at the end of April 2024.
- Selected organizations or community groups will be notified in early June 2024.



მოხალისის მოწვევის შესახებ

ორგანიზაციისა და თემის შერჩევა, სადაც შემდგომში მოხალისე განთავსდება, გარკვეული კრიტერიუმებს ემორჩილება. (იხილეთ “შერჩევის კრიტერიუმი”). ორგანიზაციისა და თემის პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს IOD პროექტის მიზნებსა და საქმიანობებს. ორგანიზაციის/სათემო ჯგუფს უნდა სურდეს მოხალისესთან თანამშრომლობა და მოხალისის პროექტების მხარდაჭერა.

სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთ მოხალისეს ერთსა და იმავე თემში უმასპინძლოს რამოდენიმე ორგანიზაცია. ასეთ შემთხვევაში თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა. ფორმებს თან უნდა დაერთოს ერთობლივი წერილი, სადაც განსაზღვრული იქნება თუ როგორ აპირებენ ორგანიზაციები მოხალისის დროის გადანაწილებას. ასევე უნდა განისაზღვროს თუ ვინ იქნება მოხალისის ხელმძღვანელი.

თუ თქვენი ორგანიზაცია/სათემო ჯგუფი დაინტერესდა მშვიდობის კორპუსის ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების მოხალისესთან თანამშრომლობით 2024-2026 წლების განმავლობაში, საჭიროა:

- გაეცნოთ გზამკვლევს;
- სრულად შეავსოთ მოხალისის მოსაწვევი ანკეტა (ინგლისურ ენაზე);
- მოხალისის მოსაწვევ ანკეტაში განმარტოთ მოხალისის მოწვევის მიზანი და თუ როგორ დაეხმარება მოხალისესთან თანამშრომლობა ორგანიზაციას ან სათემო ჯგუფს;
- ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს სამი პოტენციური ოჯახის სააპლიკაციო ფორმა ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- შევსებული ანკეტა გამოაგზავნეთ მისამართზე GE-IOD@peacecorps.gov.

საბუთების მიღების საბოლოო ვადაა **16 ოქტომბერი 2023**.

სააპლიკაციო პროცესის შემდეგი ეტაპები

- მშვიდობის კორპუსი განიხილავს შემოსულ ყველა ანკეტას.
- მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები ესტუმრებიან პირველ ეტაპზე შერჩეულ ორგანიზაციებს/სათემო ჯგუფებს, გაეცნობიან ადგილობრივ საზოგადოებას.
- მშვიდობის კორპუსის თანამშრომლები ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ოჯახებს ინდივიდუალურად ესტუმრებიან.



- 2024 წლის აპრილ-მაისში ჩატარდება სემინარები ნახევარ-ფინანსისტი ორგანიზაციებისათვის, სადაც წინასწარ შერჩეული ორგანიზაციების დასწრება სავალდებულოა.
- მოხალისეები საქართველოში 2024 წლის აპრილის ბოლოს ჩამოვლენ.
- შერჩეული ორგანიზაციების საბოლოო სია ცნობილი გახდება 2024 წლის ივნისის დასაწყისში.



FREQUENTLY ASKED QUESTIONS (FAQS)

Who are the Volunteers?

Volunteers are men and women, young and old, who come from diverse ethnic backgrounds and have a wide range of experiences. All Volunteers have a university degree, and many have obtained graduate degrees in their fields. Volunteers in the Individual and Organizational Development (IOD) Project will arrive with a variety of experience in management, business management, public administration, non-profit management, organizational development, etc. Not all volunteers will have all these skills. Since the needs of Georgia's organizations and communities are as varied as the volunteers' professional and academic backgrounds, Peace Corps makes every attempt to find the correct match.

How are the Volunteers trained?

Peace Corps Georgia provides eleven weeks of extensive Pre-Service Training to the Volunteers when they arrive in Georgia. This consists of training in Georgian Language, Georgian Culture, Health and Safety, and a technical orientation to the IOD project. Pre-Service Training addresses the knowledge, skills, and attitudes needed for Volunteers to accomplish project goals and objectives. The Volunteer must achieve specific competencies before they are qualified for Peace Corps service. Peace Corps Georgia ensures that the Volunteer is competent and capable of assuming their role as an advisor/consultant/facilitator.

How long will the Volunteer serve in the assigned organization/community?

The Volunteer's service is two years. Sometimes a Volunteer is unable to complete his/her full service for medical, family, or other reasons and may return home before the two-year period. Volunteers who wish to discontinue their service from Peace Corps, for whatever reason, may do so without recourse. The Peace Corps is not able to fill a vacant position if a Volunteer terminates service.

Does the Volunteer need a separate "position"?

No, the Volunteer will not substitute for a local employee, but rather will work with a Counterpart and other staff members to share experiences and transfer skills.

How are we going to communicate with the Volunteer?

Although the Volunteers intensively study Georgian language the organizations and community groups are asked to provide an English speaker whenever possible that will help the Volunteer in communication.



What type of working conditions does the Volunteer require?

The Volunteer should be treated with the same working conditions as his/her colleagues in the organization. If required by National Center for Disease Control and public health regulations the organization may be asked to provide Peace Corps Volunteer with workspace considering COVID-19 and other public health regulations (e.g., separate, socially distanced work desk, access to handwashing, etc.)

What are the business-related costs that the organizations should cover for the Volunteer?

Business-related costs are the costs associated with the organizational work at the same level as a local staff person. For example, internet, stationary, materials for a planned training event, travel or transportation costs, or per-diem if such travel is requested by the organization.

Can the Volunteer work in more than one organization?

Even though the IOD Volunteer is assigned to one or more organization where they will implement the primary project, Volunteers are community workers. Therefore, with the support of the Head of the organization, the Volunteers are encouraged to work with other organizations, businesses, community groups in the community, district, or region. Volunteers are encouraged to engage in activities that promote linkages and cooperation with other communities and organizations.

ხშირად დასმული შეკითხვები

ვინ არიან მოხალისეები?

მოხალისეები არიან განსხვავებული ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პროფესიისა და გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები. ყოველ მათგანს აქვს სხვადასხვა საფეხურის საუნივერსიტეტო განათლება. IOD პროექტში ჩართულ მოხალისეებს მიღებული აქვთ გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორცაა მენეჯმენტი, ფინანსები, საზოგადოებრივ საქმეთა ადმინისტრირება, არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი, ორგანიზაციული განვითარება და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა მოხალისეს არ ექნება თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაო კვალიფიკაცია. გამომდინარე იქიდან, რომ მოხალისეების გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მსგავსად, საქართველოს ორგანიზაციების და თემების მოთხოვნებიც განსხვავდება, მშვიდობის კორპუსი ცდილობს მოხალისეები მაქსიმალურად სწორად გაანაწილოს ორგანიზაციებში.

რა მომზადებას გადიან მოხალისეები საქართველოში?

საქართველოში ჩამოსვლისას მოხალისეებს უტარდებათ 11-კვირიანი ინტენსიური წინასამსახურეობრივი ტრენინგი, რომლის ფარგლებში ისინი სწავლობენ ქართულ ენას, კულტურას, ეცნობიან ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტთან დაკავშირებულ ვითარებას საქართველოში, იღებენ ინფორმაციას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. წინასამსახურეობრივი მომზადების დროს ყურადღება გამახვილებულია იმ უნარ-ჩვევებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელიც მოხალისეს პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში დაეხმარება. მოხალისემ კომპეტენტურობის გარკვეულ დონეს უნდა მიაღწიოს, ვიდრე ის კვალიფიცირებული გახდება მშვიდობის კორპუსში მუშაობისთვის. საქართველოს მშვიდობის კორპუსი უზრუნველყოფს, რომ თითოეული მოხალისე მზად იყოს ადეკვატურად შეასრულოს მრჩევლის, კონსულტანტის თუ ფასილიტატორის როლი ორგანიზაციაში.

რამდენი ხანი იქნება მოხალისე შერჩეულ ორგანიზაციაში/თემში?

მოხალისის სამსახურის ვადა ორ წელს შეადგენს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო, ოჯახური ან სხვა მიზეზის გამო მოხალისე ვადაზე ადრე წყვეტს სამსახურს და ბრუნდება შეერთებულ შტატებში. მოხალისეს, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო აქვს მშვიდობის კორპუსში საქმიანობის შეწყვეტის სურვილი, შეუძლია ეს გააკეთოს, თუმცა, მოხალისედ ვეღარ დაბრუნდება. სამსახურის ვადადელი შეწყვეტის შემთხვევაში, მშვიდობის კორპუსი ვერ შეძლებს მოხალისის ჩანაცვლებას.



სჭირდება თუ არა მოხალისეს ცალკე საშტატო ერთეული?

არა, მოხალისე არ დაიკავებს ადგილობრივი თანამშრომლის სამუშაო ადგილს. ნაცვლად ამისა, იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს პარტნიორთან და ორგანიზაციის დანარჩენ პერსონალთან, რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

რა ენაზე უნდა ვესაუბროთ მოხალისეს?

მოხალისეები საქართველოში ჩამოსვლისთანავე იწყებენ ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას, მაგრამ შერჩეულმა ორგანიზაციებმა/სათემო ჯგუფებმა თუ შესაძლებელია უნდა უზრუნველყონ ინგლისურად მოსაუბრე, რომელსაც მოხალისესთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი ექნება.

რა ტიპის სამუშაო პირობები სჭირდება მოხალისეს ორგანიზაციაში?

მოხალისე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ისეთივე სამუშაო პირობებით, როგორც მისი კოლეგები. ორგანიზაციას შეიძლება მოეთხოვოს მოხალისის უზრუნველყოფა ისეთი, სამუშაო ადგილით, რომელიც აკმაყოფილებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ კოვიდ-19-ის ან სხვა შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხის შესახებ გამოცემულ რეგულაციებს (მაგ. სოციალური დისტანციის დაცვით განთავსებული სამუშაო მაგიდა, ხელმისაწვდომობა ხელების დაბანაზე და ა.შ.).

მოხალისის სამსახურთან დაკავშირებული რა ხარჯების ანაზღაურება ევალება ორგანიზაციას?

ორგანიზაციამ უნდა აანაზღაუროს სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ის ხარჯი, რომელსაც ის სხვა ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ანაზღაურებს მაგალითად, ინტერნეტი, საკანცელარიო ნივთები, ტრენინგებისთვის განკუთვნილი მასალა, მგზავრობის, ტრანსპორტირებისა და სხვა სამივლინებო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუ მგზავრობა ორგანიზაციის სამუშაოს ნაწილია.

შეუძლია თუ არა მოხალისეს ითანამშრომლოს ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაციასთან?

მიუხედავად იმისა, რომ მოხალისე განთავსებულია მშვიდობის კორპუსის მიერ შერჩეულ ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციაში, ისინი ემსახურებიან მთელს თემს. ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მოხალისის პარტნიორის დახმარებით მოხალისეს უფლება აქვს ჩაერთოს ნებისმიერ პროექტში ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე. მოხალისეები მოტივირებულები არიან ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს, ბიზნესს, საზოგადოებებსა და თემებს შორის კავშირების გამყარებას.



Does the Volunteer receive a salary?

No. As a Volunteer, they do not receive a salary. Peace Corps Georgia provides the Volunteer with a monthly living allowance to take care of personal expenses such as food, books, toiletries, personal travel, etc.

Where will the Volunteer live?

The Volunteer is required to live with a local family for at least the first 3 months of service. Some Volunteers and Host Families may choose to continue this relationship for the full two years. Other Volunteers may choose a more independent living arrangement after the initial 3 months. Host families must provide a separate room in the home for the Volunteer and provide daily meals. Peace Corps will provide the Host Family with a small monthly payment of 490 GEL to help cover the costs of food, electricity, gas, water, etc. From October through March Volunteers will pay host families additional 95 GEL for heating the Volunteer room.

Why do the Volunteers live with a Host Family?

The Peace Corps Georgia Homestay program aims at building and deepening cross-cultural relationships between the two nations – Georgians and Americans. Peace Corps believes that while living at the host family, the Volunteer gains the understanding of the Georgian family's lifestyle and culture, while the host family also learns about American culture and lifestyles. Georgia has a traditional extended family culture and one of the best ways for a Volunteer to appreciate Georgian culture, adapt to the local community's customs and traditions, develop Georgian language fluency, integrate into the community.

Who will select the Host Family?

The applicant organizations should submit three recommended families who are willing to host a Volunteer by the application deadline and then support Program Support Specialist to meet with the pre-selected families. The Host Family is selected by Peace Corps Georgia. Peace Corps Program Support Specialist will visit pre-selected potential Host Families to ensure that they meet the housing criteria. The Volunteer may not live with their Organization Director or the Counterpart.

What are the criteria for selecting the Host Family?

The Host Family must be willing to accept the Volunteer as their family member for the period of 3 to 24 months, make him/her familiar with Georgian culture and traditions and assist him/her in learning Georgian language.

What are the Host Family's responsibilities?

Host Families should be open and willing to accept the Volunteer into their home and to involve them in family activities. Families will be asked to support the



Volunteer and to assist with their integration into Georgian community life. However, Host Families should expect the Volunteer to be independent, self-reliant, and self-sufficient. Families should be open and willing to learn about American culture and to respect American values that the Volunteer holds such as individualism, the need for privacy, and control of their own time. Host Families should be willing to assist the Volunteer to study Georgian language and Georgian culture and traditions.

Who provides for the Volunteer's medical care?

The Peace Corps Medical Officers (PCMOs) provide extensive health and safety training and are responsible for supporting the Volunteer's needs throughout his/her two years of service. If there is a medical emergency, if a Volunteer is seriously ill or has been seriously injured, the Head of the organization, Counterpart, or Host Family must help the Volunteer contact the Peace Corps Medical Office and, if necessary, arrange for emergency transportation to the closest hospital or to Tbilisi. During COVID-19 outbreak and/or any infectious outbreak or other health related risks in the community, the host organization should inform the Volunteer and Peace Corps and support the Volunteer in taking relevant measures and adhering to regulations.



იღებს თუ არა მოხალისე გასამრჯელოს?

მოხალისე არ იღებს ხელფასს ან გასამრჯელოს მუშაობისათვის. მშვიდობის კორპუსი საქართველოში მათ აძლევს მცირე თანხას, რომელიც მოხალისეებს საშუალებას აძლევს დაფარონ პირადი ხარჯები, როგორცაა საკვები, წიგნები, მგზავრობის გადასახადი და ა.შ.

სად უნდა იცხოვროს მოხალისემ?

პირველი 3 თვის განმავლობაში მოხალისეები მასპინძელ ოჯახებში ცხოვრობენ. ოჯახში ცხოვრების ვადა შეიძლება შეიცვალოს მშვიდობის კორპუსის მიერ. ზოგი მოხალისე და მასპინძელი ოჯახი გადაწყვეტს, გააგრძელონ ერთად ცხოვრება ორი წლის განმავლობაში. ზოგიც კი სამი თვის შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრებას ამჯობინებს. ოჯახმა უნდა გამოუყოს მოხალისეს ცალკე ოთახი და უზრუნველყოს ყოველდღიური კვებით. მშვიდობის კორპუსი გამოჰყოფს ოჯახისათვის მცირე ყოველთვიურ ანაზღაურებას 490 ლარის ოდენობით, რათა ოჯახმა შეძლოს პროდუქტის, ელექტროენერჯის, გაზისა თუ წყლის ხარჯების დაფარვა. ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით მოხალისე დამატებით გადაიხდის 95 ლარს თავისი ოთახის გათბობის ხარჯების დასაფარად.

რატომ ცხოვრობენ მოხალისეები მასპინძელ ოჯახებთან ერთად?

მშვიდობის კორპუსის მასპინძელი ოჯახების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ და ამერიკელ ხალხს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. მშვიდობის კორპუსი მიიჩნევს, რომ მასპინძელ ოჯახთან ცხოვრებით, მოხალისე უკეთ ეცნობა ქართული ოჯახის ტრადიციებსა და ცხოვრების წესს, ისევე როგორც ქართველი ოჯახი უკეთ შეიცნობს ამერიკელი ხალხის კულტურასა და ცხოვრების წესს. საქართველო გამოირჩევა ტრადიციული ოჯახური კულტურით, მოხალისეს ქართულ ოჯახთან ცხოვრება გაუადვილებს ადაპტაციის პროცესს, თემში ინტეგრაციას და დაეხმარება მას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ოჯახში უკეთ გაითავისებს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს და ადვილად შეითვისებს ქართულ ენას.

ვინ უნდა შეურჩიოს მოხალისეს მასპინძელი ოჯახი?

ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს სამი რეკომენდირებული ოჯახის მონაცემები სააპლიკაციო პერიოდის დასრულებამდე და შემდგომ დაეხმაროს პროგრამის სპეციალისტს ოჯახებთან შეხვედრის ორგანიზებაში. მასპინძელ ოჯახს არჩევს მშვიდობის კორპუსი. მშვიდობის კორპუსის პროგრამის სპეციალისტი ესტუმრება წინასწარ შერჩეულ ოჯახებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ოჯახის შერჩევის კრიტერიუმებს. მოხალისემ არ უნდა იცხოვროს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან პარტნიორის ოჯახში.



რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მასპინძელი ოჯახი?

მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი მიიღოს ამერიკელი მოხალისე, როგორც ოჯახის წევრი 3-24 თვის განმავლობაში, გააცნოს მას ქართული ტრადიციები, კულტურა და დაეხმაროს ენის შესწავლაში. (იხილეთ: შერჩევის კრიტერიუმი/საცხოვრებელი პირობები).

რა მოვალეობები ეკისრება მასპინძელ ოჯახს?

მასპინძელ ოჯახს უნდა სურდეს მოხალისის ოჯახის წევრად მიღება. ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს ადგილობრივი თემის გაცნობაში, უნდა აღიქვას მოხალისე, როგორც დამოუკიდებელი და თვით-მყოფადი პიროვნება, ჰქონდეს სურვილი, გაიცნოს ამერიკული კულტურა და პატივი სცეს ამერიკულ ღირებულებებს, როგორცაა ინდივიდუალიზმი და პირადულობა. ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი, დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენისა და კულტურის შესწავლაში.

ვინ უწევს მოხალისეს სამედიცინო დახმარებას საჭიროების შემთხვევაში?

მშვიდობის კორპუსის მედიკოსები ინტენსიურ ტრენინგს უტარებენ მოხალისეებს და ამზადებენ საქართველოში ორი წლის ყოფნისათვის. დაშავების ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარტნიორი და მასპინძელი ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს მშვიდობის კორპუსის მედიკოსთან დაკავშირებაში, საჭიროების შემთხვევაში კი მოახერხოს მოხალისის გადაყვანა უახლოეს კლინიკაში ან თბილისში ჩამოყვანა. თემში კოვიდ-19-ის ან სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელებისას მასპინძელმა ორგანიზაციამ მოხალისესა და მშვიდობის კორპუსს უნდა მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, რათა მოხალისემ შეძლოს დაწესებული რეგულაციების დაცვა და მიიღოს შესაბამისი ზომები რისკების თავიდან ასაცილებლად.



CONTACT INFORMATION

If you have additional questions or concerns, please contact Peace Corps program staff.

Program Manager
Tika Revishvili Mobile: (5 95) 90 85 55 e-mail: trevishvili@peacecorps.gov
Program Support Specialist
Tamta Sikharulidze Mobile: 511 10 73 74 e-mail: tsikharulidze@peacecorps.gov
Office Address
Peace Corps Georgia 118 Sairme St. Tbilisi 0125 Georgia



საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის/შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით მშვიდობის კორპუსის პროგრამის თანამშრომლებს.

პროგრამის მენეჯერი
თიკა რევიშვილი მობილური: (5 95) 90 85 55 ელ.ფოსტა: trevishvili@peacecorps.gov
პროგრამის სპეციალისტი
თამთა სიხარულიძე მობილური: 511 10 73 74 ელ.ფოსტა: tsikharulidze@peacecorps.gov
ოფისის მისამართი
მშვიდობის კორპუსი/საქართველო საირმის ქ. 118 თბილისი 0125, საქართველო